

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) განხორციელების 2014-2017 წლების სამოქმედო გეგმის

2015 წლის ანგარიში

საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების
სამინისტრო

დოკუმენტის ავტორის თხოვნით, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების საგენტომ (USAID) დააფინანსა მისი თარგმნა და გამოცემა. აქ გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ემთხვეოდეს USAID-ის ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის პოზიციას.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი
სავაჭრო სივრცის შესახებ
შეთანხმების (DCFTA) განხორციელების
2014-2017 წლების სამოქმედო გეგმის

2015 წლის ანგარიში

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) განხორციელების 2014-2017 წლების სამოქმედო გეგმის 2015 წლის ანგარიში

DCFTA-ის განხორციელების კოორდინაცია

2015 წლის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ DCFTA-ის იმპლემენტაციის პროცესის კოორდინაციის ფარგლებში გამართა უწყებათაშორისი ქვეკომისიის მეორე (17 თებერვალი), მესამე (5 ივნისი) და მეოთხე (26 ნოემბერი) სხდომები. შეხვედრებზე განიხილეს DCFTA-ის თანახმად აღებული ვალდებულებების შესრულების სტატუსი და ამ მიმართულებით მიმდინარე და დაგეგმილი რეფორმები.

2015 წლის 8 დეკემბერს ქ. თბილისში გამართულ ვაჭრობის საკითხებზე გამართული ასოცირების კომიტეტის მეორე სხდომაზე ევროპულმა მხარემ დადებითად შეაფასა ქართული მხარის მიერ DCFTA-ის იმპლემენტაციის მიზნით გატარებული რეფორმები.

ქართულ და ინგლისურ ენებზე მომზადდა DCFTA-ის შესრულების 2014 წლის ანგარიში, რომელიც გამოიცა ბროშურის სახით USAID G4G-ის მხარდაჭერით და გავრცელდა სახელმწიფო უწყებებსა და დიპლომატიურ კორპუსს შორის.

DCFTA-ის ეფექტიანი განხორციელების ხელშეწყობისა და ამ პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით 2015 წლის 28 დეკემბერს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანებით შეიქმნა საკონსულტაციო საბჭო ვაჭრობის საკითხებზე, რომლის ფარგლებშიც ჩამოყალიბდა DCFTA-ის საკონსულტაციო ჯგუფი. ჯგუფის შემადგენლობაში შედიან საქართველოში მოქმედი ბიზნესასოციაციებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები. ჯგუფის მიზანია სამოქალაქო სექტორის აქტიური მონაწილეობით ხელი შეუწყოს DCFTA-ის იმპლემენტაციასთან დაკავშირებით მიმდინარე და დაგეგმილ რეფორმებზე კონსულტაციების გამართვას, ასევე DCFTA-ით განსაზღვრულ ვალდებულებებთან დამსაქმებლების, დასაქმებულებისა და მომხმარებლების ადაპტაციას.

საქონლით ვაჭრობა, მეწარმეობისა და ექსპორტის ხელშეწყობა

მეწარმეობის ხელშეწყობა

სსიპ - მეწარმეობის განვითარების სააგენტომ სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში 80-მა საწარმომ აიღო სესხი. პროექტების ჯამური ინვესტიციების მოცულობამ - 205.9 მლნ. ლარი, ხოლო სესხების ჯამურმა მოცულობამ - 149.4 მლნ. ლარი შეადგინა. პროექტებით გათვალისწინებული სამუშაო ადგილების რაოდენობა 3,700-ს აღწევს.

სახელმწიფო პროგრამამ „აწარმოე საქართველოში“, (რომელშიც მონაწილეობენ როგორც განმახორციელებელი ორგანიზაციები, ასევე ქონების მართვის ეროვნული სააგენტო და სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო), 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მხარი დაუჭირა 133 პროექტს, რომელთა ჯამური ინვესტიციების ღირებულება შეადგენს 355.6 მილიონ ლარს, ხოლო პროგრამის ფარგლებში გაცემული სესხების ჯამური რაოდენობა - 184.6 მილიონ ლარს. პროგრამის ფარგლებში შექმნილ ახალ საწარმოებში დასაქმდება დაახლოებით 6,800 ადამიანი. სსიპ - მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით მცირე და საშუალო ბიზნესის 160-ზე მეტმა წარმომადგენელმა გაიარა ტრენინგი DCFTA-სთან დაკავშირებულ საკითხებზე.

2014 წელს სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში მომზადდა მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის

კომპონენტი, რომლის განხორციელებაც დაიწყო 2015 წლის დასაწყისიდან და მიზნად ისახავს საქართველოს რეგიონებში მცირე და მიკრო მეწარმეობის ფინანსურ და ტექნიკურ (ტრენინგები, კონსალტინგი,) მხარდაჭერას. პროგრამა გულისხმობს შერჩეულ და დატრენინგებულ ბენეფიციარებზე თანადაფინანსებითი გრანტების (5, 000 ლარი) გაცემას. კომპონენტის ფარგლებში დაგეგმილია ტრენინგის ორგანიზება 6, 000-ზე მეტი ბენეფიციარისთვის საქართველოს მასშტაბით და 3,000-ზე მეტი ახალი მიკროსაწარმოს დაფინანსება, რომელიც შექმნის 5,000-ზე მეტ ახალ სამუშაო ადგილს. ამ დროისთვის პოტენციური ბენეფიციარების მხრიდან წარმოდგენილია 2,000-ზე მეტი განაცხადი.

2015 წლის 4-8 მაისს, მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ინიციატივითა და ფინანსური მხარდაჭერით, მენეჯერებს 15 კომპანიიდან ჩაუტარდათ E&Y-ის ტრეინინგის ციკლი - miniMBA სტრატეგიული დაგეგმარებისა და მართვის უნარების გაძლიერებისთვის.

გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალურ სამინისტროსა (BMZ) და GIZ-თან თანამშრომლობის ფარგლებში მეწარმეობის განვითარების სააგენტო ახორციელებს პროექტს "Manager Training Program: Fit for Partnership with Deutschland" („მენეჯერთა ტრენინგის პროგრამა: მოვემზადოთ გერმანიასთან პარტნიორობისთვის"), რომელიც ითვალისწინებს პროგრამის „აწარმოე საქართველოში" ბენეფიციარებისა და ექსპორტის მხარდაჭერის ნაწილში პარტნიორი კომპანიების გამგზავრებას გერმანიაში ბიზნესტრენინგებზე. კომპანიების შერჩევის პროცესი დასრულდა 2015 წლის დეკემბერში.

მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ბაზაზე ჩამოყალიბდა ღია სივრცის პრინციპით მოწყობილი ცენტრი, რომელიც დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყოფს სხვადასხვა ტიპის, მათ შორის საგანმანათლებლო მომსახურებას. ცენტრი მოიცავს ბიბლიოთეკას, კომპიუტერის კუთხეს, შეხვედრების ოთახს მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომდგენლებისათვის და სივრცეს სტუმრებისათვის სარეკლამო მასალების გასაცნობად. ბიზნესმომსახურების ცენტრში არიან ოფიცრები, რომლებიც დაინტერესებულ პირებს აწვდიან შესაბამის ინფორმაციას და უწევენ საბაზისო საკონსულტაციო მომსახურებას, მათ შორის DCFTA-სთან დაკავშირებულ საკითხებზე. მომსახურების ცენტრთან დაკავშირებული ინფორმაცია და შესაბამის რესურსზე წვდომა შესაძლებელი იქნება მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე: www.enterprise.gov.ge.

სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკმა" ქართულ ენაზე ადაპტაცია გაუკეთა საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) მიერ მომზადებულ, უკვე კარგად აპრობირებულ, საგანმანათლებლო პლატფორმას (ვიდეო გაკვეთილები) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის. პროგრამით სარგებლობენ სსიპ მეწარმეობის განვითარების სააგენტოს შესაბამისი პროგრამების ბენეფიციარები.

მცირე და საშუალო ბიზნესის მეტი მხარდაჭერისა და გრძელვადიანი სტაბილური განვითარებისათვის შემუშავდა მცირე და საშუალო ბიზნესის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის პროექტები. ამ პროცესებში ჩართულები იყვნენ როგორც სახელმწიფო უწყებების, ასევე კერძო სექტორის წარმომადგენლები. ჩატარდა სამუშაო ჯგუფის 4 და უწყებათაშორისი საკოორდინაციო ჯგუფის 3 შეხვედრა. შემუშავებული სტრატეგია 2015 წლის ნოემბერში განიხილეს OECD-ის მაღალი დონის შეხვედრაზე „ევრაზიის კვირეული". ამ ეტაპზე სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში ევრაზიის კვირეულის შეხვედრაზე გამოთქმული შენიშვნები და რეკომენდაციები აისახება, პარალელურად მიმდინარეობს პროცედურები სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესაბამისი ნორმატიული აქტით მიღებისათვის.

ექსპორტის ხელშეწყობა

მეწარმეობის განვითარების სააგენტო სავაჭრო მისიების ხელშეწყობით, სავაჭრო პორტალის გაშვებითა და პროდუქტების განვითარებით ხელს უწყობს ექსპორტის განვითარებას; ეხმარება ექსპორტიორებს, მონაწილეობა

მიიღონ საერთაშორისო და რეგიონალურ გამოფენებში და ა. შ.

2015 წელს მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ორგანიზებით ჩატარდა 14 ადგილობრივი და საერთაშორისო ღონისძიება ექსპორტის ხელშეწყობისა და ახალი ბიზნეს-კავშირების დამყარების მიზნით, რომელიც მოიცავდა სავაჭრო გამოფენებს, სავაჭრო მისიებსა და ქვეყნის პოპულარიზაციისთვის განხორციელებულ ღონისძიებებს. ქართულმა კომპანიებმა მონაწილეობა მიიღეს ევროკავშირის ქვეყნებში გამართულ შემდეგ ღონისძიებებში:

- RigaFood (ლატვიის რესპუბლიკა);
- PolagraFood (პოლონეთის რესპუბლიკა);
- Anuga (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა);
- CPHI (ესპანეთის სამეფო).

2015 წლის 24-25 აპრილს ქ. ლონდონში სავაჭრო მისიით განხორციელდა ქართული კომპანიების ვიზიტი. ვიზიტის ფარგლებში კომპანიებმა შეხვედრები გამართეს სავაჭრო ქსელების დისტრიბუტორებსა და თრეიდერებთან; მოეწყო გაცნობითი შეხვედრები ინგლისის სავაჭრო და საბაჟო რეგულაციებთან დაკავშირებით. ქართული პროდუქციის პოპულარიზაციის მიზნით საშაბათო ბაზრობაზე „იორკის ჰერცოგის მოედანზე“ (Duke of York Square) გაიმართა ქართული პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა.

მეწარმეობის განვითარების სააგენტომ შეიმუშავა კვების, სასმელების, ფარმაცევტიკისა და ტექსტილის საექსპორტო კატალოგი, რომელიც გავრცელდა დიპლომატიურ წარმომადგენლობებში. დასრულდა მუშაობა ვებგვერდის www.tradewithgeorgia.com განახლებაზე, რომელიც წარმოადგენს ექსპორტზე ორიენტირებული ქართული კომპანიების ბაზას და მოიცავს შემსყიდველებისთვის საჭირო ინფორმაციას. ამ ეტაპზე, ვებგვერდი მუშაობს სრულყოფილად და მასზე აქტიურად მიმდინარეობს ქართული ექსპორტიორი კომპანიების რეგისტრაცია.

სსიპ მეწარმეობის განვითარების სააგენტოსა და კავკასიის უნივერსიტეტის თანამშრომლობით შემუშავდა ექსპორტის მენეჯერთა გადამზადების სასერტიფიკატო სასწავლო კურსი, რომლის პირველი ეტაპი განხორციელდა 2015 წლის მარტში, ხოლო მეორე ეტაპი - აპრილში. ჯამში გადამზადდა ორმოცამდე ექსპორტიორი კომპანიის თანამშრომელი. სასწავლო კურსში, ასევე, მონაწილეობენ პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ბენეფიციარები.

ტექნიკური რეგულაციები, სტანდარტიზაცია და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა

სტანდარტიზაცია და მეტროლოგია

საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო აქტიურად განაგრძობს საერთაშორისო და რეგიონული/ევროპული სტანდარტების ეროვნულ სტანდარტებად მიღების პროცესს, „სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის სფეროში საქართველოს მთავრობის სტრატეგიის“ (TBT სტრატეგია) და საკანონმდებლო დაახლოების სამთავრობო პროგრამის პრიორიტეტების შესაბამისად. 2015 წელს საქართველომ მიიღო 1700-ზე მეტი საერთაშორისო და ევროპული სტანდარტი.

სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონური ბაზის განვითარების მიზნით მიმდინარეობს ევროკავშირის ყოვლისმომცველი ინსტიტუციური განვითარების (CIB) პროგრამის II ფაზა - „ეროვნული ეტალონების ბაზის განვითარებისათვის გაზომვის საშუალებების შეძენა“. პროექტი ითვალისწინებს სააგენტოს ეროვნული ეტალონების ბაზის განახლებასა და მეტროლოგიური ლაბორატორიების ახალი ხელსაწყოებით აღჭურვას. ევროკავშირის ორგანიზებით შესყიდვის კონტრაქტის განახლებისთვის ჩატარდა ტენდერის ორი ეტაპი და გამოვლინდა გამარჯვებული კომპანიები. კონტრაქტით გათვალისწინებული აღჭურვილობის მოწოდება და მონტაჟი დაგეგმილია 2016 წლის განმავლობაში.

CIB (ბიზნესის სერტიფიცირების) პროგრამის ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში

სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტში საერთაშორისო სტანდარტის ISO/IEC 9001 ძირითადი პრინციპების დანერგვის მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც მოწვეულ ექსპერტებთან ერთად ახორციელებს ISO/IEC 9001 საერთაშორისო სტანდარტის შესწავლას და სტანდარტების დეპარტამენტის ფუნქციების იდენტიფიცირებას. 2015 წლის ნოემბერში სამუშაო ჯგუფმა დაასრულა მუშაობა სტანდარტების დეპარტამენტის ფუნქციების აღწერის პირველად ვერსიაზე. სტანდარტის პრინციპების სრულად დანერგვა გათვალისწინებულია 2017 წლის ბოლომდე.

სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტის ინიციატივით, ევროპულ პროექტთან „ინოგეიტი“ თანამშრომლობით, 2015 წლის 20–22 ოქტომბერს, ქ. თბილისში გაიმართა რეგიონული სემინარი თემაზე: ევროპული სტანდარტის EN 1594:2013 - გაზის ინფრასტრუქტურა. 16 ბარ მაქსიმალურ წნევაზე მომუშავე მილსადენები. სამუშაო მოთხოვნები. სემინარში მონაწილეობა მიიღეს გაზის სფეროში მომუშავე კომპანიების წარმომადგენლებმა როგორც საქართველოდან, ასევე ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ქვეყნებიდან.

2015 წლის განმავლობაში პროექტის ფარგლებში განხორციელდა სასწავლო ვიზიტები მეტროლოგიის რეგიონული ორგანიზაციის COOMET-ის, სტანდარტიზაციის ევროპული ორგანიზაციების CEN/CENELEC და სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ISO და საერთაშორისო ელექტრო-ტექნიკური კომისიის IEC გენერალურ ასამბლეებზე მონაწილეობის მისაღებად.

2015 წელს სააგენტოს წარმომადგენლებმა ასევე მონაწილეობა მიიღეს ზომისა და წონის საერთაშორისო ბიუროს BIPM, საკანონმდებლო მეტროლოგიის საერთაშორისო ორგანიზაციის OIML გენერალურ ასამბლეაში.

საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს ინიცირებით 2015 წლის 6-8 ოქტომბერს საქართველოში ჩატარდა მეტროლოგიის რეგიონული ორგანიზაციის COOMET-ის ტექნიკური კომიტეტის (TC) 4 ,,ინფორმაცია და სწავლება“ სხდომა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო COOMET-ის წევრი 10 ქვეყნის წარმომადგენელმა.

სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ზომისა და წონის საერთაშორისო ბიუროს (BIPM) ურთიერთაღიარების შეთანხმების (CIPM MRA) გადახედვისადმი მიძღვნილ სემინარსა და მეტროლოგიის ეროვნული ინსტიტუტების დირექტორების შეხვედრაში, რომელიც გაიმართა 13-14 ოქტომბერს ქ. პარიზში (საფრანგეთი). შეიქმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შედის საქართველოს წარმომადგენელი.

სააგენტოს შესაბამისი ეტალონური განყოფილებების წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს მეტროლოგიის რეგიონალური ორგანიზაციის COOMET-ის შემდეგი ტექნიკური კომიტეტების შეხვედრებში:

- TC 1.6 - მასა და მასთან დაკავშირებული სიდიდეები;
- TC 4 საქართველოს წარმომადგენელმა, როგორც აუდიტორმა, მონაწილეობა მიიღო ყაზახეთის მეტროლოგიის ეროვნული ინსტიტუტის შეფასებაში;
- TC 2 - საკანონმდებლო მეტროლოგია;
- TC 1.5 - სიგრძე;
- TC 1.9 - მაიონიზებელი გამოსხივება;
- TC 1.10 - ტემპერატურა;
- TC 1.3 - ელექტრობა და მაგნეტიზმი.

საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოში CIB პროგრამის II ეტაპის ფარგლებში 2015 წლის დეკემბერში სტანდარტების დეპარტამენტის თანამშრომლებისათვის მოეწყო სემინარი სტანდარტიზაციის სფეროში ევროპული რეგულაციის 1025/2012-ის პრინციპების გაცნობის შესახებ.

ტექნიკური დახმარების პროექტის „სტანდარტებისა და მეტროლოგიის ინფრასტრუქტურის განვითარება ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად“ ფარგლებში ევროპელმა ექსპერტებმა ჩაატარეს ტრეინინგები შემდეგ ლაბორატორიებში: ელექტრობა, მასა და ფიზიქიმია.

აკრედიტაცია

ევროპული აკრედიტაციის (European Co-operation for Accreditation (EA)) ასოცირებული წევრობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, აკრედიტაციის ცენტრმა (GAC) მონაწილეობა მიიღო 2015 წელს ევროპული აკრედიტაციის მიერ ჩატარებული ტექნიკური კომიტეტისა და გენერალური ასამბლეის მუშაობაში, მათ შორის:

- EA-ს გენერალური ასამბლეა (ნოემბერი);
- სერტიფიკაციის ტექნიკური კომიტეტი (მარტი და ოქტომბერი);
- ინსპექტირების ტექნიკური კომიტეტი (მარტი და ოქტომბერი);
- ლაბორატორიული ტექნიკური კომიტეტი (მარტი);
- EA-ს MAC კომიტეტი (აპრილი და ოქტომბერი).

2015 წლის აგვისტოში EA-ს კოლეგიალური შეფასების ფარგლებში სსიპ აკრედიტაციის ცენტრმა EA-ს სამდივნოს მოთხოვნის შესაბამისად მოამზადა და EA-ში გადააგზავნა თვითშეფასების განახლებული ანგარიში (EAMAC-F-Evaluation Report), აკრედიტაციის განახლებული წესები და პროცედურები. აკრედიტაციის ცენტრმა უზრუნველყო კოლეგიალურ შეფასებაში ჩართული EA-ს ექსპერტებისთვის ორგანიზაციული საკითხები EA-ს 2/02 პროცედურის თანახმად. 2015 წლის დეკემბერში ევროპელმა ექსპერტებმა შეაფასეს და დაადასტურეს, რომ აკრედიტაციის ცენტრს ჰყავს პროფესიონალების გუნდი, რომელიც კომპეტენტურად წარმართავს აკრედიტაციის სამუშაოებს. შედეგად, EA-ს შემფასებლებმა მიიღეს რეკომენდაცია, განხორციელდეს შეფასების შემდეგი ეტაპი საკ-სა და EA-ს შორის ორმხრივი აღიარების შეთანხმების (EA BLA) ხელმოწერის მიზნით.

ხარისხის ინფრასტრუქტურის ინსტიტუციური განვითარების ნაწილში დასრულდა სსიპ აკრედიტაციის ცენტრის ოფისის სარემონტო სამუშაოები, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ცენტრის თანამშრომლების სამუშაო გარემოს და პოზიტიურად აისახება აკრედიტაციის ცენტრის საქმიანობის აღიარებაზე.

ევროკავშირის ყოვლისმომცველი ინსტიტუციური განვითარების პროგრამის ფარგლებში (CIB) „აკრედიტაციის სისტემის განვითარების შემდგომი მხარდაჭერა ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკასთან თანხვედრისათვის“ ევროკომისიის ტენდერით შერჩევის შედეგად გამოვლინდა გამარჯვებული ესპანურ-ბრიტანული კონსორციუმი და დაიწყო პროექტის განხორციელება.

GAC-ს თანამშრომლებისთვის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით 2015 წელს აკრედიტაციის ცენტრში ჩატარდა ტრეინინგები სტანდარტის დანერგვის საკითხებზე სერტიფიცირების (სსტ ისო/იეკ 17065) ინსპექტირებისა (სსტ ისო/იეკ 17020) და პირთა სერტიფიცირების (სსტ ისო/იეკ 17024) სფეროებში.

ბაზარზე ზედამხედველობა

DCFTA-ს განხორციელების 2015 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროგრამა დაიწყო 2015 წლის 22 ივნისს. დიდი ბრიტანეთის ბაზარზე ზედამხედველობის ექსპერტების საქართველოში პირველი ვიზიტის ფარგლებში შეისწავლეს ბაზარზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოს - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს - სტრუქტურა, საქმიანობა, მათ შორის, ადგილზე შეისწავლეს მომატებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების ინსპექტირების მეთოდები.

ბრიტანელი ექსპერტების მიერ სააგენტოს ხელმძღვანელობისა და სამმართველოების უფროსებისთვის 2015 წლის 29-30 სექტემბერს და 2 ოქტომბერს ჩატარდა ტრეინინგები თემაზე ბაზარზე ზედამხედველობის სფეროს განვითარება ევროპის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

2015 წლის 1 ოქტომბერს გაიმართა პროექტის გახსნის კონფერენცია, რომელსაც დაესწრნენ და მხარდაჭერა გამოუცხადეს დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა, სამოქალაქო საზოგადოებამ და სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებმა. კონფერენციაზე განიხილეს საკითხები პროექტის მნიშვნელობაზე, პროექტის ფარგლებ-

ში განსახორციელებელ ღონისძიებებსა და მოსალოდნელ ცვლილებებზე.

გაიმართა შეხვედრები შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლებთან და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობასთან, სადაც განიხილეს საბაჟოს როლი ბაზარზე ზედამხედველობის სისტემაში, სააგენტოსა და საბაჟოს ურთიერთთანამშრომლობისა და შესაბამისი მემორანდუმის გაფორმების აუცილებლობის საკითხები. ასევე, შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლები გაეცნენ ბაზარზე ზედამხედველობის სფეროში არსებულ ევროკავშირის კანონმდებლობასა და ლიტვის მაგალითს, თუ როგორ ხდება ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოსა და საბაჟოს შორის ურთიერთთანამშრომლობა ზედამხედველობის განხორციელების პროცესში.

ასევე, შემუშავდა და დამტკიცდა სსიპ სამშენებლო და ტექნიკური ზედამხედველობის სააგენტოს ინსტიტუციური განვითარების გეგმა. სამომავლო ღონისძიებების განხორციელების განრიგი შემუშავდება მომდევნო ვიზიტების დროს.

სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ღონისძიებები (SPS)

საკანონმდებლო დაახლოების სია

საქართველოდან ევროკავშირში თევზის პროდუქტების ექსპორტის განხორციელებისა და ევროკავშირში ექსპორტისათვის დაშვებული მესამე ქვეყნების ოფიციალურ სიაში საქართველოს შეყვანის, ასევე, თაფლში ვეტერინარული პრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენი ნივთიერებების მონიტორინგის გეგმის აღიარებისა და ევროკავშირში თაფლის ექსპორტირების უფლების მოპოვების მიზნით საქართველოს მხარემ ევროკომისიას წარუდგინა განაცხადი. აღნიშნულის საფუძველზე სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის სისტემის, ასევე, ევროკავშირში საექსპორტოდ განკუთვნილი თევზისა და თევზის პროდუქტების, ასევე, თაფლის წარმოების ადგილებზე აუდიტის განსახორციელებლად 2014 წლის 25 ნოემბრიდან 5 დეკემბრის ჩათვლით საქართველოში იმყოფებოდნენ ევროკომისიის ჯანმრთელობისა და სურსათის უვნებლობის გენერალური დირექტორატის (DG SANTE) სურსათისა და ვეტერინარიის ოფისის (FVO) აუდიტორ-ინსპექტორები. მისიამ ადგილზე შეისწავლა სურსათის უვნებლობის კანონმდებლობა, სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო კონტროლის პროცედურები და შედეგები. აუდიტის შედეგების მიხედვით, მისიამ წარმოდგინა რეკომენდაციები გასატარებელი აქტივობების შესახებ.

2015 წელს საქართველომ განახორციელა მნიშვნელოვანი ნაბიჯები თევზისა და თევზის პროდუქტების შესახებ მიღებული რეკომენდაციების შესრულების მიზნით, მათ შორის, ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება. ევროკომისიის ჯანმრთელობისა და სურსათის უვნებლობის გენერალურმა დირექტორატმა დადებითად შეაფასა საქართველოს მიერ განხორციელებული ღონისძიებები. მომავალში შესაძლოა ადგილზე განხორციელდეს აუდიტი ღონისძიებათა გამოყენების გადამოწმების მიზნით.

ასევე, შესრულდა თაფლთან დაკავშირებული რეკომენდაციების ძირითადი ნაწილი. 2016 წლის მარტის ბოლოს საქართველო წარუდგენს ევროკავშირს თაფლში ვეტერინარული პრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენი ნივთიერებების მონიტორინგის გეგმას, რომლის აღიარების შემთხვევაშიც რეკომენდაციები სრულად შესრულდება.

DCFTA-ის შესაბამისად, შემუშავდა ევროკავშირთან დასაახლოებელი კანონმდებლობის სია, რომელიც მოიცავს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროების მარეგულირებელი ევროკავშირის კანონმდებლობის ნუსხასა და დაახლოების ვადებს. ჩამონათვალში ევროკავშირის კანონმდებლობის წლების მიხედვით განსაზღვრა განხორციელდა მათი პრიორიტეტულობის მიხედვით. კერძოდ, მხედველობაში მიიღეს შესამუშავებელი კანონმდებლობის მნიშვნელობა სურსათის უვნებლობის, ვეტერინარული კეთილსაიმედოობისა და მცენარეთა დაცვის

კუთხით. აღნიშნული საკანონმდებლო დაახლოების სია უახლოეს მომავალში გახდება DCFTA-ის განუყოფელი ნაწილი. ზემოხსენებული სიის საბოლოო ვერსია გადგზავნილი და შეთანხმებულია ევროკავშირთან.

პროგრამის საბოლოოდ დამტკიცებამდე ევროკავშირის ინიციატივით საქართველოში 2015 წლის მე-2 კვარტალში განხორციელდა TAIEX-ის პროექტი, რომლის ფარგლებშიც ევროკავშირის ექსპერტებმა განიხილეს პროგრამა და შესაბამისი რეკომენდაციები მოამზადეს.

საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება მოხდება ეტაპობრივად 2015 წლიდან 2027 წლის ჩათვლით და მოიცავს 272 რეგულაცია/დირექტივას. მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული სია ჯერ არ გამხდარა შეთანხმების განუყოფელი ნაწილი, ქართული მხარე აქტიურად ასრულებს სიით გაწერილ ვალდებულებებს.

საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების მიზნით, მიღებულ იქნა შემდეგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები:

ვეტერინარიის სფეროში

- საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის N348 დადგენილება „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“, რომელიც ადგენს ცხოველთა დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის წესებს (ნიუკასლის დაავადება, ღორის აფრიკული და კლასიკური ჭირი და სხვ.);
- „წვრილფეხა საქონლის იდენტიფიკაციარეგისტრაციისა და მათი სადგომის/დროებითი სადგომის რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 27 მაისის N228 დადგენილება.

სურსათის უვნებლობის სფეროში

- საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 თებერვლის №55 დადგენილება „ცხოველური წარმოშობის სურსათის სახელმწიფო კონტროლის განხორციელების სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №477 დადგენილება „შესაფუთი ხის მასალის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ოქტომბერის №547 დადგენილება „სურსათისა და ცხოველთა საკვების უვნებლობის სფეროში კრიზისული მდგომარეობის მართვის ზოგადი გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის №419 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;
- საქართველოს მთავრობის 2015 წლის 16 ოქტომბრის №533 დადგენილება „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს მთავრობის 2015 წლის 16 ოქტომბრის №534 დადგენილება „სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოს/დისტრიბუტორის ჰიგიენის ზოგადი წესისა და სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში ზედამხედველობის, მონიტორინგისა და სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის №173 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;
- საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 ნოემბრის დადგენილება N577 ,,სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში მიკვლევადობის ზოგადი პრინციპების და მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2015 წლის ნოემბრის დადგენილება N 567 ,,სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის) მაქსიმალურად დასაშვები ზღვრის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“;

- საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 ნოემბერის №581 დადგენილება „სურსათის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 ნოემბრის №578 დადგენილება „ევროკავშირის სურსათის/ცხოველის საკვების სწრაფი განგაშის სისტემაში (RASFF) ინტეგრაციის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ წესის დამტკიცების თაობაზე“.

ფიტოსანიტარიის სფეროში

- საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 იანვრის №8 დადგენილება ,,საერთაშორისო გადაზიდვებისას ტვირთის ფიტოსანიტარიულ მოთხოვნებთან შეუსაბამობის შესახებ შეტყობინების წესის დამტკიცების თაობაზე“;
- „ტექნიკური რეგლამენტის - ცდის, სამეცნიერო კვლევისა და სელექციური სამუშაოსათვის მავნე ორგანიზმის, მცენარის, მცენარეული პროდუქტის და სხვა ფიტოსანიტარიული რეგულირებადი ობიექტის საქართველოში შემოტანის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 27 აპრილის N190 დადგენილება;
- „ტექნიკური რეგლამენტის - „კარტოფილის კიბოს კონტროლის წესის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 25 ივნისის N305 დადგენილება;
- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 იანვარის დადგენილება №11 „ტექნიკური რეგლამენტის - სიმინდის დასავლეთის ხოჭოს წინააღმდეგ ბრძოლის წესის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 იანვარის დადგენილება №10 „მეცხოველეობაში ჰორმონული და თირეოსტატიკური მოქმედების მქონე ზოგიერთი ნივთიერებისა (სუბსტანციის) და ბეტა-აგონისტების გამოყენების აკრძალვის წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის დადგენილება №22 „ტექნიკური რეგლამენტის - ცოცხალ ცხოველებსა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ზოგიერთი ნივთიერებისა და მათი ნარჩენების მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“.

საკანონმდებლო ბაზის განახლებასა და ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან დაახლოებასთან ერთად აქტიურად მიმდინარეობს საინფორმაციო კამპანიის წარმოება ისეთ საკითხებთან მიმართებაში, როგორებიცაა:

- ქართული წარმოების სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ევროკავშირის ბაზარზე შეტანის მოთხოვნები;
- სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის შესაბამისი სამომხმარებლო ასპექტები;
- ახლად მიღებული ან შესწორებული კანონმდებლობის გაცნობა მეწარმეებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით საანგარიშო პერიოდში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლების მონაწილეობით გაიმართა შემდეგი შეხვედრები:

19 თებერვალს - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ, სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსმა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებმა „სამოქალაქო დარბაზის“ წევრებს გააცნეს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით (DCFTA) გათვალისწინებული საკანონმდებლო დაახლოების პროგრამის პროექტი.

19-21 მაისს შვედეთის სოფლის მეურნეობის საბჭოს (SBA) მიერ გაიმართა ტრენინგი/სემინარი DCFTA-ს საკითხებთან, აგრეთვე, სოფლის მეურნეობის ცალკეული პროდუქციის ევროკავშირში იმპორტის მოთხოვნებთან დაკავშირებით. სემინარში მონაწილეობა მიიღეს როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების, ბიზნესასოციაციებისა და კერძო ბიზნესის წარმომადგენლებმა.

ევროკავშირში სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტის მოთხოვნებთან დაკავშირებით, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით გაიმართა თემატური შეხვედრები ბიზნესსექტორის წარმომადგენლებთან (ქ. თბილისში, ქ. ბათუმში, იმერეთის რეგიონში, ამბროლაურში, მცხეთა-მთიანეთში).

ამასთანავე, მიმდინარეობს კერძო სექტორთან თანამშრომლობა მათ მიერ ახალი საკანონმდებლო მოთხოვნების შესრულებაში დახმარების მიზნით, კერძოდ, DCFTA-ს ფარგლებში შემუშავებული ნორმატიული აქტები მათ დამტკიცებამდე საჯარო განხილვისა და დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობის მიზნით იტვირთება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებგვერდზე.

ახალი მოთხოვნების დანერგვასა და განხორციელებას, აგრეთვე ამ მოთხოვნებთან შესაბამისობას თან უნდა სდევდეს შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერება. ამ მიზნით სურსათის ეროვნულ სააგენტოში მიმდინარეობს მუშაობა ინსტიტუციური გეგმის განახლებაზე, რომელშიც, აგრეთვე, ჩართულები არიან ევროკავშირის პროექტის ექსპერტები.

დასრულდა სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის ფიტო-სანიტარული დეპარტამენტის ახალი შენობის აგება, აპარატურა დამონტაჟებულია/განლაგებულია შესაბამის ლაბორატორიებში; ჩატარდა კონკურსი და შეირჩა პერსონალი; შექმნილია EPPO-ს სადიაგნოსტიკო პროტოკოლების ბაზა; დაწყებულია მათი ქართულად თარგმნა.

რეგიონებში ეტაპობრივად მიმდინარეობს ფიტო-სანიტარული კვლევების დანერგვა, აღნიშნული კვლევები დაინერგა და უკვე მიმდინარეობს ბათუმის, გურჯაანის და გორის ლაბორატორიებში. გრძელდება პერსონალის შერჩევა და უახლოეს მომავალში ფიტოსანიტარიული კვლევები დაინერგება ქუთაისის, ახალციხისა და ზუგდიდის ლაბორატორიებში.

დამტკიცდა 17 სტანდარტული სამუშაო პროცედურა სხვადასხვა დაავადებებისთვის. დამუშავებულია სააკრედიტაციო სფეროების განაცხადი.

ცხოველთა პარაზიტოლოგიური დაავადებების (თევზის პარაზიტები, ფუტკრის პარაზიტები, პროტოზები, ჰელმინთოზები) კვლევები დანერგილია თბილისის, გურჯაანისა და ბათუმის ლაბორატორიებში.

ბათუმის, გორის, გურჯაანისა და ახალციხის ლაბორატორიებში მიმდინარეობს მცენარეთა დაავადებების დიაგნოსტიკა. 2015 წლის დეკემბრიდან მცენარეთა დაავადებების დიაგნოსტიკა დაინერგა ქუთაისის ლაბორატორიაში.

სურსათის მიკრობიოლოგიური და ქიმიური კვლევები დაინერგა გურჯაანის, ბათუმის, ქუთაისის, დუშეთის, ახალციხისა და მარნეულის რეგიონულ ლაბორატორიებში; ეტაპობრივად ფართოვდება კვლევათა სპექტრი.

გარემონტდა და გაიმართა ანალიზური ქიმიისათვის განკუთვნილი ლაბორატორიული ოთახები; შეძენილი და დამონტაჟებულია ანალიზატორები; მწარმოებლის ავტორიზებულმა წარმომადგენლებმა ჩაატარეს სწავლება და პერსონალის სერტიფიცირება; დაიწყო ახალი მეთოდების ვალიდაციის პროცესი (მაგ: თაფლის, თევზის და თევზის პროდუქტების კვლევა). შემდგომ ეტაპზე დაინერგება პესტიციდების ხარისხის ლაბორატორიული კონტროლის მეთოდები და მოხდება მათი ვალიდაცია.

სრულად გაიმართა კვლევების ლაბორატორიის აპარატურა. დაინერგა თაფლში ანტიბიოტიკებისა და თევზის პროდუქტებში ჰისტამინის შემცველობის აღმოჩენის მეთოდები. ვალიდირებულია ქლორორგანული და ფოსფორორგანული პესტიციდების კვლევა; დანერგილია მძიმე მეტალებისა და რადიონუკლიდების შემცველობის კვლევა; ვერიფიცირებულია ნაჯერი ცხიმების აღმოჩენის მეთოდი.

მიმდინარეობს პესტიციდების პრიორიტეტული კლასის განსაზღვრა და მუშავდება მეთოდიკა გაეროს საკვებისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) პროექტის ფარგლებში.

ყოვლისმომცველი ინსტიტუციური განვითარების (CIB) პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ორი სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის - კარწახისა და ფოთის სრულად აღჭურვა და ადლიის (საბაჟო გაფორმების ზონა სარფის სასაზღვრო ინსპექციის პუნქტთან)

ფიტოსანიტარიული შენობის აღჭურვა ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა აღჭურვილობის შესაძენად. 2015 წელს დასრულებულია კარწახის სამაცივრე ოთახების მოწყობა.

საბაჟო სფერო და ვაჭრობის ხელშეწყობა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროში USAID G4G-ის მხარდაჭერით მიმდინარეობს მუშაობა ახალი საბაჟო კანონმდებლობის პროექტზე, რომლის მიღებაც იგეგმება 2016 წლის პირველ ნახევარში.

ტრანზიტის საერთო პროცედურების შესახებ კონვენცია (CTC) და საქონლით ვაჭრობაში ფორმალობების გამარტივების შესახებ კონვენცია (SAD)

საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმების ფარგლებში გათვალისწინებულია „ტრანზიტის საერთო პროცედურების (CTC)“ კონვენციის დებულებებისა და „ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის (NCTS)“ საქართველოში დანერგვა.

სსიპ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2015 წლის 9 იანვრის ბრძანების თანახმად, „საქონლით ვაჭრობაში ფორმალობების გამარტივების შესახებ“ და „ტრანზიტის საერთო პროცედურების შესახებ“, 1987 წლის 20 მაისის კონვენციებთან მიერთების მიზნით, შეიქმნა კომისია და სამუშაო ჯგუფი. რეგულარულად (ყოველკვირეულად) მიმდინარეობს სამუშაო ჯგუფის შეხვედრები. არსებული მდგომარეობით დასრულებულია კონვენციების თარგმნა და მიმდინარეობს შედარებითი მატრიცის შექმნა საქართველოს კანონმდებლობასთან არსებული თანხვედრებისა და განსხვავებულობების განსაზღვრის მიზნით.

2015 წლის 24-25 ივნისს ევროკომისიის აღმოსავლეთ პარტნიორობის „საზღვრის ინტეგრირებული მართვის შესაძლებლობათა განვითარების პროექტის“ ფარგლებში, „ევროპის კავშირის სახელმწიფოთა გარე საზღვრების მართვის ოპერატიული თანამშრომლობის ევროპული სააგენტოს (FRONTEX) ორგანიზებითა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მხარდაჭერით გაიმართა რეგიონული სემინარი „ტრანზიტის საერთო პროცედურების (CTC)“ კონვენციისა და „ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის (NCTS)“ შესახებ. შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს, უკრაინის, მოლდოვას, პოლონეთისა და ლიტვის საბაჟო ადმინისტრაციის, ასევე ევროკომისიისა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) წარმომადგენლები. სემინარის მონაწილეებმა აქტიური დიალოგის ფორმატში განიხილეს „ტრანზიტის საერთო პროცედურების (CTC)“ კონვენციასთან და „ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემასთან (NCTS)“ მიერთების და განსახორციელებელი ღონისძიებების გატარების გზები.

ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი (AEO)

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების დანართი XIII-ისა და მისი სამოქმედო გეგმის შესაბამისად, საქართველო ვალდებულია მოახდინოს თანამეგობრობის საბაჟო კოდექსის დებულებების იმპლემენტაცია, დანერგოს ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის (AEO) ინსტიტუტი. USAID G4G მხარდაჭერას უცხადებს შემოსავლების სამსახურს AEO პროგრამის საქართველოში იმპლემენტაციის კუთხით. ჩამოყალიბდა ერთიანი სამუშაო ჯგუფი, რომელმაც შეაფასა არსებული მდგომარეობა და შეიმუშავა საქართველოში AEO-ს ინსტიტუტის დანერგვის სამომავლო სამოქმედო გეგმა

2015 წლის 26-30 იანვარს თბილისის „გაფორმების ეკონომიკურ ზონაში“ გაიმართა სასწავლო სემინარი წარმოშობის წესებსა და მასთან დაკავშირებულ საბაჟო პროცედურებზე. ტრენინგების ორგანიზება მოხდა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) დახმარებითა და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. კურსი, ძირითადად, შეეხო საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების ფარგლებში საქონლის წარმოშობის იდენტიფიკაციის მარეგულირებელ წესებს. მონაწილეებს საშუალება მიეცათ, უკეთ

გასცნობოდნენ საკმარისი დამუშავება-გადამუშავების წესებს; საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის ღირებულებითი წილის კრიტერიუმის თავისებურებებს; პირდაპირი ტრანსპორტირებისა და ტოლერანტობის წესებს. ასევე, განიხილეს EUR.1 მოძრაობის სერთიფიკატის გაცემის პროცედურები და გადამოწმების წესები. 2015 წლის 17 მარტს თბილისის „გაფორმების ეკონომიკურ ზონაში" გაიმართა სამუშაო შეხვედრა წარმოშობის პრეფერენციული წესების შესახებ. სამუშაო შეხვედრა ჩატარდა საბაჟო 2020 პროგრამის (Customs 2020 Programme) ფარგლებში და ერთად შეკრიბა როგორც სსიპ შემოსავლების სამსახურის, ასევე კერძო სექტორის წარმომადგენლები. სამუშაო შეხვედრა მიზნად ისახავდა, ხელი შეეწყო საბაჟო უწყებასა და ბიზნესსექტორს შორის დიალოგის გაღრმავებას და ზოგადად, ასოცირების შეთანხმების ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შექმნის შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებულ სტანდარტებთან შესაბამისობის გაზრდას.

სახელმწიფო შესყიდვები

სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც DCFTA-ით გათვალისწინებული ვალდებულებების შესაბამისად საკონმდებლო დაახლოების ყოვლისმომცველ სამოქმედო გეგმას შეიმუშავებს. სამუშაო ჯგუფმა მოამზადა შესაბამისი დოკუმენტი საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის ნორმების ევროკავშირის შესაბამის დირექტივებთან ეტაპობრივი დაახლოების მიზნით.

2015 წლის 25 ნოემბერს სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ UNDP-ს და SIGMA-ს ექსპერტებთან ერთად წარადგინა გზამკვლევი და სამოქმედო გეგმა საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტში, სადაც გაიმართა გაფართოებული საკომიტეტო მოსმენა და დადებითად შეფასდა აღნიშნული დოკუმენტი.

2015 წლის 26 ნოემბერს სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს UNDP-ს და SIGMA-ს ექსპერტებმა სამოქმედო გეგმა წარუდგინეს მსხვილ შემსყიდველ ორგანიზაციებს.

გარდა ამისა, SIGMA-სთან მოლაპარაკების შედეგად შეთანხმდა SIGMA-სთან შემდგომი თანამშრომლობის გაგრძელება. კერძოდ, SIGMA ტექნიკური დახმარების ფარგლებში მონაწილეობას მიიღებს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების იმპლემენტაციაში. ასევე, SIGMA აამაღლებს სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანამშრომელთა კვალიფიკაციას სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის ხელშეწყობის მიზნით, რაც მოიცავს ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას.

2015 წლის 1 ივლისიდან კონკურსების ჩატარება სრულიად გადავიდა ელექტრონულ პლატფორმაზე შესაბამისი ელექტრონული მოდულისა და სერვისების დამატების მეშვეობით.

2015 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით შესაძლებელი გახდა ქვეყნის მასშტაბით გამარტივებული შესყიდვების მოცულობის შემცირება. ცვლილებების შემდეგ შემსყიდველმა ორგანიზაციამ საფუძვლიანად და საჯაროდ, ელექტრონულ სისტემაში (e-Procurement) უნდა დაასაბუთოს გამარტივებული შესყიდვის აუცილებლობა სპეციალურად შემუშავებული კითხვარის მიხედვით და მიიღოს სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსგან თანხმობა. აღნიშნული ცვლილებები და ბრძანება ძალაშია 2015 წლის პირველი ნოემბრიდან.

დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობების გაძლიერება

2015 წელს სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრში გადამზადდა სახელმწიფო უწყებებში და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებული შესყიდვების 549 სპეციალისტი.

სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ „ღია მმართველობის პარტნიორობის" (Open Government Partnership – OGP) ფარგლებში „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესისა და პირობების" გაცნობის მიზნით საინფორმა-

ციო-საკონსულტაციო შეხვედრები ჩაატარა თბილისისა და თბილისთან ახლოს მდებარე მუნიციპალიტეტების, იმერეთისა და აჭარის რეგიონების სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლებთან. შეხვედრებზე ყურადღება გამახვილდა კონკურსების ახალ ელექტრონულ მოდულსა და მისი ჩატარების პროცედურებზე.

2015 წელს სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრში ტრენინგი გაიარა სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობით დაინტერესებული ბიზნესორგანიზაციების - მიმწოდებელი კომპანიების 38 წარმომადგენელმა. აღნიშნული ტრენინგი განხორციელდა მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით.

ინტელექტუალური საკუთრების უფლებები

ინტელექტუალური საკუთრების მარეგულირებელ კანონმდებლობაში ცვლილებების განხორციელება

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად ინტელექტუალური საკუთრების მარეგულირებელ კანონმდებლობაში 2014 წელს მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებები განიხილეს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ბიზნესსექტორის წარმომადგენლებთან. საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებით ინტელექტუალური საკუთრების სფეროში საქართველოს კანონმდებლობა დაუახლოვდება ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობას. ცვლილებები, ძირითადად, გათვალისწინებულია ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების კუთხით, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყანაში ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ეფექტიანი დაცვის მექანიზმის ჩამოყალიბებისთვის.

საზღვარზე ინტელექტუალური საკუთრების დაცვასთან დაკავშირებული საბაჟო ღონისძიებები

ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საბაჟო აღსრულების ქართული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ეტაპობრივი დაახლოების მიზნით, შემოსავლების სამსახურში შეიქმნა შიდაუწყებრივი სამუშაო ჯგუფი, რომლის ფარგლებშიც მოხდა კანონმდებლობებს შორის არსებული განსხვავებების იდენტიფიცირება და შედგა აღნიშნული განსხვავებების აღმოფხვრის სამწლიანი გეგმა. სამოქმედო გეგმა შენიშვნებისა და წინადადებების მოძიების მიზნით გადაეგზავნა სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს, „საქპატენტს“. „საქპატენტის“ წინადადებები აისახა სამუშაო გეგმაში.

პირველ ეტაპზე გადაწყდა ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ ქართულ კანონში საბაჟო რეჟიმების დამატება, რომლებშიც დაცული იქნება ინტელექტუალური საკუთრების უფლებები.

ცვლილებების განხორციელების მეორე ეტაპისთვის დაიგეგმა ინტელექტუალური საკუთრების უფლებების რეგისტრაციასა და ინფორმაციის დამუშავებასთან დაკავშირებული ვადების ევროკავშირის რეგულაციებთან თანხვედრა.

ასევე, დაგეგმილია „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებითი ინტელექტუალური ობიექტების გათვალისწინება საბაჟო მიზნებისათვის.

ცვლილებების განხორციელების მესამე ეტაპზე კანონში დასანერგია „ექს-ოფიციოს“ პრინციპი.

„საქპატენტი“ აქტიურად იყო ჩართული მოსამართლეებისა და ადვოკატებისათვის ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან დაკავშირებულ საკითხზე ტრენინგების ჩატარებასა და ორგანიზებაში, კერძოდ: საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში სსიპ - ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის, „საქპატენტის“ თავმჯდომარემ ჩაატარა ტრეინინგები თემაზე: ,,ინტელექტუალური საკუთრების ზოგადი კურსი“ და ,,ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულება“. ასევე, 2015 წლის 18-19 ივნისს ქ. ბათუმში საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის, „საქპატენტის“, ამერიკის სავაჭრო

დეპარტამენტის სავაჭრო სამართლის განვითარების პროგრამისა (CLDP) და საქართველოში ამერიკის საელჩოს ორგანიზებით მოსამართლეებისთვის ჩატარდა სემინარი თემაზე: „გადაწყვეტილებები ინტელექტუალური საკუთრების დარღვევასთან დაკავშირებით სამოქალაქო საქმეებზე“.

2015 წლის 30 სექტემბრიდან 1-ელ ოქტომბრამდე საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა, „საქპატენტმა“ და ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციამ გამართეს რეგიონული კონფერენცია გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვის შესახებ. შეხვედრაზე განიხილეს გეოგრაფიული აღნიშვნების უკანასკნელი სიახლეები, საერთაშორისო დაცვისა და საქართველოს გეოგრაფიული აღნიშვნების კონტროლის სისტემა.

სსიპ „ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში, „საქპატენტი“ გარემონტდა და სათანადოდ აღიჭურვა სასწავლო ცენტრის ფართი, მომზადდა სასწავლო ცენტრის დაფუძნებისათვის საჭირო სამართლებრივი აქტები, ასევე, ევროპის საპატენტო უწყების მიერ მოწოდებული მასალების შესაბამისად მომზადდა ინტელექტუალური საკუთრების ზოგადი კურსი.

საქპატენტის მიერ მომზადდა და დაიბეჭდა საინფორმაციო ხასიათის ბუკლეტები. რეგულარულად გამოიცემა საინფორმაციო ბიულეტენები.

კონკურენცია

კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულების კუთხით გაწეული საქმიანობა

2015 წელს სსიპ კონკურენციის სააგენტომ დაასრულა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის სავარაუდო დარღვევის გამოვლენის მიზნით 10-მდე სხვადასხვა ბაზრის მოკვლევა, მათ შორის საავტომობილო საწვავის, საავიაციო ნავთის, თერმულ-მინერალური წყლების, საავტომობილო-საკონტეინერო მომსახურების, სახელმწიფო შესყიდვების (ორი მოკვლევა), ხორბლის, საავტომობილო გაზისა და სარკინიგზო-საკონტეინერო გადაზიდვების. ასევე, შეფასდა შესაბამის ბაზრებზე მოსალოდნელი კონცენტრაციების გარემოსთან თავსებადობის საკითხი ცემენტისა და საავადმყოფოების ბაზრებზე. 2015 წლის ბოლოს, ასევე დასრულდა ყავის ბაზრის მონიტორინგი და ნავთობტერმინალების ბაზარზე დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებით დაწყებული მოკვლევა.

2015 წლის 28 აპრილიდან 1 მაისის ჩათვლით ქ. სიდნეიში გაიმართა საერთაშორისო კონკურენციის ქსელის (ICN) წლიური კონფერენცია, რომელზეც საქართველოს კონკურენციის სააგენტოს სპიკერობით 2015 წლის 30 აპრილს ერთი პანელი დაეთმო კონკურენციის ახალგაზრდა სააგენტოების პრობლემატიკას.

2015 წლის 22–24 სექტემბერს ქ. თბილისში გაიმართა OECD – GVH RCC-ის საერთაშორისო სემინარი თემაზე: „პირდაპირი და ირიბი მტკიცებულებები კარტელის შემთხვევაში“, რომელსაც საქართველოს კონკურენციის სააგენტომ უმასპინძლა.

საქართველოს კონკურენციის სააგენტომ ევროკავშირის ტექნიკური დახმარებისა და ინფორმაციის გაცვლის პროექტის ფარგლებში (TAIEX) 16-17 დეკემბერს თბილისში სემინარი ჩაატარა თემებზე: კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებები, გადაწყვეტილებები და ქმედებები; დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. ღონისძიებას ესწრებოდნენ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს, ეკონომიკური საბჭოსა და ასევე სხვადასხვა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები. 2015 წლის 25 დეკემბერს საქართველოს კონკურენციის სააგენტოს ორგანიზებითა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაციის (GIZ) მხარდაჭერით ქ. თბილისში ბიზნესსექტორის წარმომადგენლებისათვის ჩატარდა კონფერენცია თემაზე: „კონკურენციის რეგულირების სამართლებრივი ასპექტები“. კონფერენციაზე განიხილეს კონკურენციის მოქმედი კანონმდებლობა, კონკურენციის სააგენტოს კომპეტენცია და ფუნქციები,

სააგენტოს მიერ დაფუძნებიდან დღემდე განხრციელებული საქმიანობები და კონკურენციის კანონმდებლობის სხვა მნიშვნელოვანი ასპექტები.

გამჭვირვალობა

რეგულარულად ახლდება DCFTA-ის ვებპორტალზე არსებული ინფორმაცია განხორციელებული და მიმდინარე რეფორმების კუთხით. 2015 წლის 22 სექტემბერს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინიციატივითა და USAID G4G-ის მხარდაჭერით გაიმართა შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ბიზნესის წარმომადგენლებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, განიხილეს DCFTA-ის განხორციელების მიზნით დაგეგმილი და მიმდინარე რეფორმები.

2015 წლის 23 მარტს ქ. ოზურგეთში და 24 მარტს ქ. ფოთში გაიმართა „ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA)“ შესახებ საინფორმაციო შეხვედრები ბიზნესწრეების, სამოქალაქო საზოგადოებისა და თვითმმართველობის წარმომადგენლებთან. აღნიშნული შეხვედრების ფარგლებში გავრცელდა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინიციატივითა და USAID G4G-ის მხარდაჭერით მომზადებული DCFTA-ის საინფორმაციო ბუკლეტები.

გარდა ამისა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს თანამშრომლები მონაწილეობდნენ სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ გამართულ ამავე ტიპის შეხვედრებში:

- საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობისა და პროექტ „ერთად შევეგებოთ ევროპას“ ორგანიზებით გამართულ სემინარებში ქ. გორში, ქ. ქუთაისსა და ქ. თელავში (10 ივნისი). სემინარების თემა იყო „საქართველოს პერსპექტივა ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებასთან დაკავშირებით“;
- შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში ნინოწმინდაში (9 ივნისი), ახალქალაქსა (9 ივნისი) და მარნეულში (11ივნისი);
- ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის მიერ ქ. თბილისში ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებისთვის, დაბა ბაზალეთში სტუდენტებისთვის, ასევე, რეგიონული საინფორმაციო საშუალებების ჟურნალისტებისთვისგამართულ შეხვედრებში.

ვაჭრობა და მდგრადი განვითარება

აშშ-ის შრომის დეპარტამენტის (სამინისტროს) მიერ დაფინანსებული პროექტი „შრომის კანონმდებლობის დაცვის გაუმჯობესება საქართველოში“

2013 წელს აშშ-ის შრომის დეპარტამენტმა გამოყო გრანტი პროექტისთვის „შრომის კანონმდებლობის დაცვის გაუმჯობესება საქართველოში'', რომელსაც შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO) 2014 წლიდან ახორციელებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით. 2015 წელს აღნიშნული პროექტის ფარგლებში დასაქმებულთა და დამსაქმებელთა შრომითი ურთიერთობებისა და ვალდებულებების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით მომზადდა დოკუმენტი „ხშირად დასმული კითხვები შრომითი უფლებების შესახებ“. აღნიშნული დოკუმენტი განთავსდა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ვებგვერდზე: http://www.moh.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=643 და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

გარდა ამისა, შრომითი უფლებების შესახებ დაინტერესებულ პირთა ინფორმირებისთვის, ამავე პროექტის ფარგლებში შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ორგანიზებით

მოეწყო ტრენინგი და გადამზადდა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცხელი ხაზის ყველა ოპერატორი (ჯამში 44 ოპერატორი).

გარემოს დაცვა

ტყის ახალი კოდექსის შემუშავების მიზნით მსოფლიო ბანკის ტექნიკური მხარდაჭერით მიმდინარეობს სატყეო სექტორში კანონაღსრულებისა და მართვის გაუმჯობესების პროგრამა (ENPI-FLEG II). პროგრამის ფარგლებში შეირჩა საერთაშორისო ექსპერტი და მომზადდა კანონის პირველი სამუშაო ვერსია, რომელიც განსახილველად გაეგზავნა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებს. 2015 წლის 8 სექტემბერს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის № 707 ბრძანებით ტყის კოდექსის შემუშავების უზრუნველსაყოფად შეიქმნა საქართველოს კანონის „ტყის კოდექსის“ პროექტის შემუშავების მაკოორდინირებელი კომისია, რომელიც დაკომპლექტებულია სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირების, ასევე ქ. თბილისის მერიისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს სპეციალისტებით. კომისიის ფარგლებში გაიმართა 8 შეხვედრა.

მომზადდა ტყის არამერქნული რესურსებით სარგებლობის მარეგულირებელი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პირველი სამუშაო ვერსიები და კომენტარების მიღების მიზნით გაიგზავნა დაინტერესებულ მხარეებთან განსახილველად. შემუშავდა ტყის მდგრადი მართვის ეროვნული კრიტერიუმებისა და ინდიკატორების დოკუმენტის მეორე სამუშაო ვერსია. 2015 წლის ნოემბერში გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების მხარდაჭერით სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ საერთაშორისო ექსპერტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ტყის მდგრადი მართვის ეროვნული ინდიკატორების დახვეწას.

ტყის სამეურვეო საბჭოს (FSC) მიერ განსაზღვრული ინდიკატორების შესაბამისად შემუშავდა კონტროლირებადი მერქნული რესურსების რისკის შეფასების სტანდარტი. ახალი მოთხოვნების თანახმად (ცენტრალიზებული სისტემა), FSC განახორციელებს რისკების შეფასებას 1-ლი, მე-2, მე-4 და მე-5 კატეგორიებისთვის (საკუთარი კონსულტანტების მეშვეობით და თავად დაფარავს ხარჯებს). რაც შეეხება მე-3 კატეგორიას (მაღალი კონსერვაციული ღირებულების მქონე ტყეების ხარჯზე დამზადებული მერქნული რესურსი), შეირჩა ექსპერტი, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი და შემუშავდა სამუშაო ვერსია. მთლიანად პროცესი 2016 წლის ივლისაგვისტოში დასრულდება და გადაეგზავნება დასამტკიცებლად ტყის სამეურვეო საბჭოს.

დამტკიცდა ერთობლივი პროექტი ევროკავშირთან, რომლის მიზანია სატყეო სექტორში უკანონო საქმიანობის უკეთ გაკონტროლების მიზნით გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სწრაფი რეაგირების სამსახურის ექსპერტიზის გაძლიერება.

დაწყებულია სამასალე და საშეშე მერქნული რესურსების, ასევე, არამერქნული რესურსების გამოყენების, წარმოებისა და რეალიზაციის ეკონომიკური ანალიზი. ექსპერტისთვის შემუშავდა ტექნიკური დავალება. შეირჩა საერთაშორისო ექსპერტი, რომელიც ამ დროისათვის ეცნობა სატყეო სექტორში მარეგულირებელ დოკუმენტაციას და ახორციელებს საველე შესწავლებს.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენციასთან (CITES) დაკავშირებული ვალდებულებების შესრულების მიზნით 2015 წელს დაიწყო პროექტი, რომელიც დაფინანსებულია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მიერ და მიზნად ისახავს მერქნიანი და არამერქნული სახეობების შეფასებასა და იმის დადგენას, შეესაბამება თუ არა ეს სახეობები კონვენციის დანართებში შეტანის კრიტერიუმებს. მომზადებულია პროექტის ანგარიში.

სამეცნიერო საკითხების განმხილველ ჯგუფთან კონსულტაციების შედეგად დადგინდა დასავლეთ კავკასიური ჯიხვის (Capra caucasica) კონვენციის II დანართში შეტანის საჭიროება, რის შესახებაც განხორციელდა ოფიციალური მიმოწერა ევროკომისიასა და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შორის. ამ ეტაპზე იგეგმება დანართებში შეტანის მიზნით წინადადების მომზადება კონვენციის მხარეთა მე-17 კონფერენციისთვის, რომელიც გაიმართება 2016 წლის 24 სექტემბრიდან 5 ოქტომბრის ჩათვლით.

CITES-ის რეგულაციების აღსრულების მიზნით, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ გამართა სასწავლო შეხვედრა საერთაშორისო ორგანიზაცია TRAFFIC-სა და გერმანიის CITES-ის სამეცნიერო ორგანოსთან თანამშრომლობით. შეხვედრის მიზანი იყო საქართველოს CITES-ის სამეცნიერო ორგანოსა და ყველა დაინტერესებული მხარის შესაძლებლობების გაძლიერება არასაზიანო მოპოვებასთან (NDF) დაკავშირებული საკითხების მიმართულებით. შეხვედრის 18-მა მონაწილემ გაიარა ტრენინგი გერმანიის CITES-ის სამეცნიერო ორგანოს მიერ მომზადებული სახელმძღვანელოს გამოყენების მიმართულებით.

შემუშავებულია ქვეყნის ტყით დაფარული ფართობების რუკა.

დამტკიცდა GEF/UNEP-ის პროექტი Global Forest Watch (სატყეო მონიტორინგის ახალი სისტემა), რომელიც მიზნად ისახავს სატყეო მონიტორნიგის ახალი სისტემის დანერგვას საქართველოში გაუდაბნოების, ტყისა და მიწის დეგრადაციის, ასევე უკანონო ჭრების შესამცირებლად და ბიომრავალფეროვნების დაცვის მიზნით. 2015 წლის 26-30 ოქტომბერს შედგა გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) წარმომადგენლების საქართველოში ვიზიტი, რომლის დროსაც დაიგეგმა GEF-GFW-ს მიერ მხარდაჭერილი პროექტის განხორციელების მომდევნო ნაბიჯები და განისაზღვრა დაგეგმილი ღონისძიებების შესრულების საკითხები. პროექტის განხორციელება 2016 წლიდან დაიწყება.

შემუშავდა ტყის მრავალფუნქციური ზონირების დოკუმენტი. ამ ეტაპზე მიმდინარეობს დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრული ზონების მართვის რეჟიმების შემუშავება.

სატყეო სექტორის რეფორმირებაში დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად საქართველოს ეროვნული სატყეო პროგრამის (NFP) ფარგლებში სამინისტრო რეგულარულად აწყობს სამუშაო ჯგუფების შეხვედრებს. სულ გაიმართა 50 სამუშაო შეხვედრა და 5 გასვლითი ღონისძიება. გაიმართა „საქართველოს ტყეებზე კლიმატის ცვლილებების ზემოქმედების შერბილებისა და ადაპტაციის“ მე-7 სამუშაო ჯგუფის საკოორდინაციო შეხვედრა, დაიწყო ბიოსფერული რეზერვატის შექმნის პოტენციალის ანალიზი და გაიმართა 4 სამუშაო შეხვედრა.

ხმელთაშუა ზღვის თევზჭერის გენერალურ კომისიასთან (GFCM) თანამშრომლობის ფარგლებში, რომლის მიზანია თევზჭერასთან დაკავშირებულ საკითხებში საუკეთესო პრაქტიკისა და გამოცდილების გაცვლა, 2015 წლის 9-11 მარტს თბილისში ჩატარდა GFCM-ის შავი ზღვის სამუშაო ჯგუფის მე-4 შეხვედრა. შეხვედრაზე განიხილეს რეგიონულ დონეზე მნიშვნელოვანი საკითხები თევზჭერისა და აკვაკულტურის განვითარების სფეროში. შემუშავდა რეკომენდაციები რამდენიმე ძირითადი სახეობის მართვისთვის, რომლებიც დამტკიცდა GFCM-ის სესიაზე 2015 წლის მაისში. შეხვედრაზე მიაღწიეს მნიშვნელოვან პროგრესს რეგიონული თანამშრომლობის კუთხით. კერძოდ, შავი ზღვის სამუშაო ჯგუფმა მიიღო საქართველოსა და უკრაინის მოთხოვნა თანამშრომელი ქვეყნის სტატუსის მინიჭების თაობაზე. მიმდინარეობს მუშაობა GFCM-სა და საქართველოს შორის შეთანხმების ხელმოწერის შესაძლებლობაზე, რომელიც ითვალისწინებს საქართველოსთვის ტექნიკურ დახმარებას ეროვნულ დონეზე მონაცემთა შეგროვების სისტემის გასაუმჯობესებლად, აკვაკულტურის გასავითარებლად და აგრეთვე უკონტროლო და არალეგალურ თევზჭერასთან საბრძოლველად.

კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციის (UNFCCC) 2015 წლის შეთანხმებისთვის, გარემოსა და ბუნებრივი

რესურსების დაცვის სამინისტროს კოორდინაციით, მომზადდა „საქართველოს ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ (INDC) დოკუმენტი, რომელიც გულისხმობს 2030 წლამდე ბიზნესის განვითრების დაგეგმილ მაჩვენებლებთან შედარებით (BAU) სათბური გაზების ემისიების შემცირებას 15%-ით უპირობოდ, ხოლო 25%-ით შესაბამისი საერთაშორისო დაფინანსების პირობებში.

ვაჭრობასთან დაკავშირებული დებულებები ენერმეტიკის სფეროში

ვაჭრობასთან დაკავშირებული დებულებები ენერგეტიკის სფეროში ითვალისწინებს ოპერატორების ვალდებულებებს შეუფერხებელი „ტრანზიტის“ უზრუნველყოფის კუთხით. ამ მიმართულებით აღსანიშნავია, რომ დამტკიცდა “საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა“, რაც წარმოადგენს ქვეყნის ინფრასტრუქტურის გაძლიერების დროში გაწერილ პროგრამას. აღნიშნული მიზნად ისახავს ევროპული გაერთიანებული ენერგოსისტემის ENTSO-E განვითარების ათწლიან გეგმასთან ინტეგრირებისთვის მზაობას, რაც ჩვენი ქვეყნის ენერგეტიკისთვის წინ გადადგმული ნაბიჯია. გაიზრდება ქვეყნის საექსპორტო და სატრანზიტო პოტენციალი და საქართველოს მიეცემა შესაძლებლობა, გახდეს მნიშვნელოვანი სატრანზიტო ენერგეტიკული კვანძი რეგიონში. რაც ყველაზე მთავარია, იგი ხელს შეუწყობს რისკების შემცირებას შეუფერხებელი ტრანზიტის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთის რესპუბლიკასთან გაფორმდა ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება, რაც სხვა საკითხებთან ერთად ითვალისწინებს ავარიულ სიტუაციებში თანამშრომლობას და საგანგებო ზომების შემუშავებისათვის კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფას. ამ მიმართულებით მუშაობა მიმდინარეობს სომხეთის რესპუბლიკასთანაც.

ელექტროენერგეტიკული ბაზრის განვითარების მიზნით შეისწავლეს ევროპული ქვეყნების ბაზრის მოდელები და შეაფასეს ბაზრის მოდელის შემუშავებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი.

ელექტროენერგიის ბაზრის ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოების მიზნით USAID G4G-ის ფარგლებში ჩატარდა ბაზრის მოდელის განვითარების პირველი ფაზის სიმულაციის სამუშაოები. აღნიშნულის მიზანია ელექტროენერგიის ბაზრის ევროკავშირთან დაახლოების შესაძლებლობების გამოვლენა. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა სიმულაციის მეორე ფაზით განსაზღვრულ სამუშაოებზე.

აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ წელს მიიღეს ელექტროენერგიის გადამცემი ქსელის წესები. მარეგულირებელი ამჟამად მუშაობს ელექტროენერგიის გადამცემ ქსელზე მიერთების სტანდარტული პირობების დამტკიცებაზე, რაც ხელს შეუწყობს გადამცემი ქსელის განვითარებას, მართვას, ხელმისაწვდომობასა და უსაფრთხო სარგებლობას.

ამასთან, მარეგულირებელს დაეკისრა ელექტროენერგიის განაწილების ქსელის წესების, გაზის კომერციული მომსახურების წესების, ელექტროენერგიის მიწოდების საიმედოობის წესების მომზადება და მიღება, მათ შორის ელექტროენერგეტიკული სექტორისათვის ერთიანი საბუღალტრო–სააღრიცხვო სისტემის, ენერგეტიკული ბაზრების მონიტორინგის წესებისა და მარეგულირებელი აუდიტის წესების მომზადება, რომლებზეც ამჟამად აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა და იმპლემენტაციის პროცესი დაიწყება 2016 წელს Twining-ის დახმარების ფარგლებში. ეს ღონისძიებები მიმართულია მარეგულირებელი ორგანოს როლის გაძლიერების ხელშეწყობისკენ ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის ბაზრების რეგულირების მიზნით. ამჟამად შემუშავებულია გამანაწილებელი ქსელის წესების ოთხი თავი: გამანაწილებელი ქსელის დაგეგმვის წესი, გამანაწილებელ ქსელთან მიერთების წესი, გამანაწილებელი ქსელის ოპერატიული მართვის წესი და გამანაწილებელი ქსელის აღრიცხვის წესი. კომისიამ ასევე შეიმუშავა ერთიანი საბუღალტრო-სააღრიცხვო სისტემის პროექტი. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს ანგარიშთა გეგმას, მის ინსტრუქციებს და ა.შ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

MINISTRY OF ECONOMY AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

http://www.economy.ge/ge/dcfta
Tel.:(+995)032 299 11 03
intdep@economy.ge

USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

Governing for
Growth
in Georgia